საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, გორგასლის ქ.№36 (ს.კ. 01.18.09.005.005) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

ქ. თბილისში, გორგასლის ქ.№36-ში (ს.კ. 01.18.09.005.005) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შედგება 2 ნაწილობრივ მიწისქვეშა და 8 მიწისზედა სართულიანი.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექნიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა - 8 ბალი

2. ქარის დატვირთვა 50 კგძ/მ^2

3. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 70 კგძ/მ^2

საძირკვლის ფუძედ საძირკვლის მონოლითური ფილისათვის მიღებულია ს.გ.ე II, ფენა №3 – თიხა ყავისფერი, ნახევრად მყარი, მცირედი რაოდენობის მტვროვანი ფრაქცია, საშუალოდ კარბონატული, საანგარიშო წინაღობით Ro=2.7 კგძ/კვ.სმ

საძირკვლის ფუძედ ბულღვით-ნატენი ხიმინჯებისათვის მიღებულია ს.გ.ე V, ფენა №6 – გამოფიტული არგილიტების და ქვიშაქვების მორიგეობა, საანგარიშო წინაღობით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc=60.21 კგძ/კვ.სმ

საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს საძირკვლის რკინაბეტონის მონოლითური ფილის H=0.8 მ. და 1.0 მ. დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ერთობლიობა.

სარდაფის კედლები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით 20 და 25 სმ.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითური კარკასი, მონოლითური სვეტები (190X30, 109X40, 40X30, 40X40, 40X90, 40X80, 40X70,

40X60, 40X50, 20X80, 20X60, 20X40, 20X20) სმ, მონოლითური რიგელები - (40X50, 30X50, 20X50, 40X85) სმ,

მონოლითური დიაფრაგმები სისქით 20 და 25 სმ.

გადახურვის რკინაბეტონის მონოლითური ფილა (H=20 და 18 სმ).

კიბეები - რკინაბეტონის მონოლითური.

ფერდის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 0.6 მ. დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ფარდა.

ქვაბულის ფერდის დამჭერი ხიმინჯების და შენობის კონსტრუქციული გაანგარიშება შესრულებულია გამოთვილითი კომპლექს : "Lira sapr 2022" -ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

პროექტი შესრულებულია მაღალ-პროფესიულ დონეზე, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმატივების დაცვით და ეძლევა ცალსახად დადებითი შეფასება.

საკონსტრუქტორო განყოფილების

მთავარი სპეციალისტი გ. რეხვიაშვილი

12.10.2023 წ